საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-486

ქ. თბილისი

22/04/2021

სიღნაღის მუნიციპალიტეტში მიწისქვეშა მტკნარი წყლის (160 000 მ³ წელიწადში) სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია სიღნაღის მუნიციპალიტეტში მიწისქვეშა მტკნარი წყლის (160 000 მ³ წელიწადში) სამეწარმეო მიზნით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

სალიცენზიო ობიექტი GPS კოორდინატების ელექტრონული გადამოწმების შედეგად მდებარეობს სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაღაროს მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „აგრო 21-ს“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. GPS კოორდინატები: X - 569457.8610 Y - 4603339.8540. აღნიშნული ტერიტორია წარმოდგენილია ვაკე რელიეფით და მდებარეობს ზღვის დონიდან 645 მ სიმაღლეზე. კლიმატური პირობებით, საპროექტო ტერიტორიის წლიური საშუალო ტემპერატურაა 11 °C, ხოლო ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა აღწევს 768 მმ-მდე.

ჰიდროლოგიური მონაცემებით სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება ფოროვანი და ნაპრალური წყლების იორი-შირაქის არტეზიულ აუზს. ჭაბურღილის საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით. წყალაღების ჰორიზონტის ზუსტი დებიტი უცნობია, მაგრამ წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, შესაძლებელია წელიწადში 160 000 მ³ რაოდენობის წყლის მოპოვება. ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმეა 125 მ. მოპოვებული წყლის გამოყენება მოხდება სამეწარმეო დანიშნულებით. ჭაბურღილი საჭიროებს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას და შემოღობვას.

წყალშემცველი ჰორიზონტი წარმოდგენილია თიხებით, თიხნარებით, კონგლომერატებით, ქვიშაქვებით და ქვიშებით. წყალშემცველი ჰორიზონტისთვის ძირითადად დამახასიათებელია ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან-მაგნიუმიანი და ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან-ნატრიუმიანი ტიპის წყლები. მოსაპოვებელი წყლის საერთო მინერალიზაცია მერყეობს 0,3-დან 0,8 გ/ლ-მდე, ხოლო ტემპერატურა 9,5-დან - 15 °C -მდე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ჭაბურღილის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. სალიცენზიო ობიექტისა და მიმდებარე

ტერიტორიის გეოდინამიკური პირობები სტაბილურია. გეოლოგიური თვალსაზრისით, წიაღით სარგებლობა საკვლევი ტერიტორიის საზღვრებში დასაშვებია. დაგეგმილი საქმიანობა საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი არ არის საქართველოს „წითელი ნუსხით" დაცული ხე-მცენარეები.

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ჭაბურღილის ექსპლუატაციისას ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება იქნება მინიმალური. დაგეგმილი საქმიანობა არ უკავშირდება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედებას, ნარჩენების წარმოქმნას და გარემოს დაბინძურებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტში მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებას გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტში მიწისქვეშა მტკნარი წყლის (160 000 m^3 წელიწადში) სამეწარმეო მიზნით მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი